

მუნიციპალიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციები

მიწოდების ბაზრის კვლევასთან დაკავშირებით

1. სპეციფიკაციების შემუშავებისას შემსყიდველმა ორგანიზაციამ მხედველობაში უნდა მიიღოს ბაზარზე არსებული ალტერნატივები და სპეციფიკაციებით არ უნდა შეზღუდოს ის ალტერნატივა, რომელიც აკმაყოფილებს შემსყიდველი ორგანიზაციის საჭიროებას;
2. ტექნიკური დავალება საჭიროა იყოს სრულყოფილი და მიმწოდებელს აძლევდეს სასურველი ხარისხის შეფასებისა და სატენდერო წინადადების ფასის გათვლის საშუალებას. მიწოდების ბაზრისთვის აპრობირებული ტერმინოლოგია, მიღებული განზომილების ერთეულების თუ სხვა პირობების გამოყენება, მნიშვნელოვნად ამცირებს ბუნდოვანებას და ზრდის მიმწოდებლის მხრიდან ტენდერში მონაწილეობის ინტერესს;
3. მიწოდების ბაზრისთვის უჩვეულო მოთხოვნების წყენება დიდწილად ამცირებს შესყიდვის წარმატებით დასრულების ალბათობას;
4. მიწოდების მცირე ვადების დაწესება განაპირობებს სახელმწიფო შესყიდვებში მხოლოდ დიდი რესურსის მქონე მიმწოდებლების მონაწილეობას. საუკეთესო პრაქტიკას (best practice) წარმოადგენს მიწოდების ვადის შერჩევა ტიპიური მიმწოდებლის ზოგადი შესაძლებლობების გათვალისწინებით;
5. განსაკუთრებით რთული, მოცულობითი (ეს მნიშვნელოვანწილად ეხება სამშენებლო სექტორს) ტენდერების შემთხვევაში საჭიროა მიმწოდებლებს მიეცეთ საკმარისი დრო სატენდერო წინადადებების შემუშავებისათვის;
6. შემსყიდველმა ორგანიზაციამ სავარაუდო ღირებულების დადგენისას საჭიროა გაითვალისწინოს აქტუალური (იმ დროისათვის მოქმედი) ფასები;
7. აუცილებელია ინფორმირებულობა ბაზრის ტენდენციებისა და ფასების განვითარების დინამიკის შესახებ, ვინაიდან ეს მნიშვნელოვნად ეხმარება შემსყიდველ ორგანიზაციას ოპტიმალური სატენდერო პირობების დადგენაში;
8. გასათვალისწინებელია, რომ იმ შემთხვევაში, როდესაც ტენდერის მოცულობა მაღალია, შესყიდვის ეტაპობრივად წარმართვა, როგორც წესი, მნიშვნელოვნად აუმჯობესებს შესყიდვის შედეგს. შესყიდვის შედეგი უმჯობესდება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც მიწოდების ბაზარზე ოპერირებადი ტიპიური საწარმო მცირე ზომისაა;
9. შემსყიდველმა ორგანიზაციამ საჭიროა მიწოდების ბაზრის კვლევის ფარგლებში გაანალიზოს პოტენციური მიმწოდებლების სპეციალიზების სფერო და ტენდერში შესყიდვის ობიექტები გააერთიანოს მიმწოდებელთა სპეციალიზების სფეროს გათვალისწინებით;

10. აუცილებელია პროექტის განხორციელების დროის სწორად შერჩევა, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული როგორც შესყიდვის ობიექტის მიწოდების შესაძლებლობა, ასევე მიმწოდებლების მხრიდან შემოთავაზებული ფასები და სხვა სახელშეკრულებო პირობები.
11. შემსყიდველმა ორგანიზაციამ (განსაკუთრებით რთული პროექტების შესყიდვის დროს) ჩაატაროს მიმწოდებელთა გამოკითხვა (ღია კარის დღეები)